1935

ოქტომბრელი

ხარხოლგანი
19 35

№ 8

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

იმელბინიტი

ოქტომბრელი

№ 8

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური
ჟურნალი

აგვისტო, 1935 წელი

მისამართი: ტფილისი, კიროვის ქუჩა № 7

შინაარსი

		გვ.
1.	პატარა ტუსაღები (მოთხრობა) — ქსენია სიხარულიძისა	1
2.	ზღვასთან (ლექსი) — მიხეილ ებრალიძისა	3
3.	სალამი ჩემს დედიკოს (ლექსი) — მიმქრალისა	3
4.	ნუნუს გიშგიშა (მოთხრ.) — დავით კასრაძისა	4
5.	სახანძრო რაზმის კუთხე (ლექსი) — სანდრო ფღენტისა	6
6.	მატარებელი პარკში (მოთხ.) — ლავრენტი ჭიჭინაძისა	7
7.	პატარა დიასახლისი (ლექსი) — ნ. შველიძისა	9
8.	სინდიოფალა (მოთხ.) — გიორგი კალანდაძისა	10
9.	ბავშვები მინდვრად (ლექსი) — დავით ბერიკაშვილისა	12
10.	სახლების გადასახლება — შ. თ.	13
11.	გამოცანა — ალ. საჩინოელისა	13
12.	დათვი (მოგონება) — პაპა ლადოსი	14
13.	ძველი ქვეყნის შვიდი საკვირველება — რანქანისა	15

მხატვარი — ალ. ბიგოლაშვილი

პ/მგ. რედაქტორის მაგიერ აკ. რეხვიაშვილი პ/მგ. მდივანი ლ. ბიბინაძე

საredაქ. კოლ. წევრები: ლ. საბახტარაშვილი, ლიდა გასვიანი, ან. ლვინიაშვილი, შ. თაბუკაშვილი, ცქვიტი.

№ 8 მთ. № 2167 ტირაჟი 10250, შეკვ. № 647 სახ. მე-3 სტამბა, წერეთლის ქ. № 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ცოსალები

მომწიფდა კოლექტივის პური. თავთავები მძიმედ დახრილა ძირს. მომკალს ელის ოქროსფერი ყანა. მოლოდინიც ასრულდა. კოლექტივის წევრებმა მარჯვედ მოუსვეს ნამგლები და ამაყად ამართული ღეროები ძირს დააწვინეს.

ცუდი დღე დაუდგათ მწყერებს: საზრდოსა და თავშესაფარს ხელიდან აცლიან. გამალებული მომკალები თითქმის ყოველ ნაბიჯზე აფრთხობენ მათ. დამფრთხალი მწყერები დედამიწიდან მეტრნახევარის სიმაღლეზე სწორი ხაზით შურდულივით მიექანებიან. პატარა პროპელერს წააგავს მათი ფრთების ხმაური. ერთი მომკალი ბუდესაც წააწყდა. დედამწყერი დააპატიმრა, მისი კვერცხებიც აიღო და სახლში წაიყვანა. მოულოდნელმა საჩუქარმა უზომოდ გაახარა პატარა ლადო. ის აქეთ-იქით დაფაცხაცებს და ლამაზ ფრინველს თავს ევლება. დაპატიმრებული მწყერი საცოდავად მობუზულა. ლამაზად დახაზული თავი ზურგში ჩაუძვრენია და საკუთარ კვერცხებს ახლოსაც აღარ ეკარება. ეტყობა, ოჯახის დანგრევას გლოვობს.

— რად არის ასე მობუზული, მინდორში მთელი დღე საზრდო უნდა ეძიოს, აქ-კი მზამზარეულს მივართმევთ, აქ არა სჯობია? — გაკვირვებით ეკითხება მშობლებს ლადო.

— ჯერ ჩოჩრები გამოჩეკოს და მაშინ ნახოს ჩემგან პატივისცემა, — მედიდურად ამბობს პატარა მზრუნველი.

ლადოს მოლოდინი დედამწყერმა არ გაამართლა. ვერ შეურიგდა ოჯახის დანგრევას და საკუთარ კვერცხებს ახლოს აღარ მიეკარა. ლადოს დედამ სხვა გამოსავალი ნახა: კრუხს დააკისრა ძიძაობა და წვრილი კვერცხები ფრთებქვეშ შეუწყო. კრუხი გაკვირვებით უცქეროდა პატარა კვერცხებს. გაბოროტდა. კრუხმა არ იკისრა ძიძაობა. შენიშნა თუ არა გამოსატეხად გაბზარული კვერცხი, ჰკრა ნისკარტი, გამოიყვანა პაწაწინა სველი ბარტყი, დაწიწკნა და შეჭამა. ასე გაიმეორა მეორედ, მესამედ. ბუდესთან წვრილი კვერცხების ნაჭუჭები იპოვეს, ბარტყებიკი არსად იყო. დაუდარაჯეს და კრუხის ბოროტმოქმედება გაიგეს. ავი ძიძის ნისკარტს მხოლოდ ორი ბარტყი გადაურჩა. ისინი საგანგებოდ გაკეთებულ რბილად ჩაფენილ გალიაში მოათავსეს. ლადოს სიხარულისაგან თითქოს ფრთები გამოესხა. დაიჭირა ბუზი და კვერცხიდან ახალ გამოძვრალ, ჯერ კიდევ გაუშროებელ ბარტყებს მიურბენია. ერთი მათგანი ხელის გულზე დაისვა. თვალით ძლივს ჩანდა ერთი ბეწო მწყრის ბარტყი. მაგრამ მაშინვე შენიშნა დაჭერილი ბუზი, დააშტერდა და უსუსური ნისკარტი გაბედულად დაჰკრა. ლადოს ხშირად გამოჰყავდა ისინი გალიიდან, დაისვამდა ხელის გულზე და პირის ორთქლით ათბობდა. სასაცილო იყვნენ მაშინ პატარა ჩოჩრები. დააგრძელებდენ კისრებს და მზად იყვნენ ლადოს პირში შემძვრალი-

ყვენ. პატარა ტუსაღებს ლადო უხვად უმასპინძლდებოდა საკენკითა და ჭიაღუებით.

ლადოს ჩოჩრებს მტერიც ჰყავდა. გალიას გარს უვლიდა ვეფხვივით ჭრელი კატა. პაწია ჩოჩრების დანახვაზე ნერწყვი მოსდიოდა. ნატრობდა მათ მოგდებას ბასრ კლანჭებში. ლადოს შენიშნული ჰყავდა ბოროტი ფისო და გალიის კარს საიმედოდ კეტავდა. ჩოჩრები გრძნობდენ ციცუნიას ბოროტ განზრახვას და მის დანახვაზე ერთიმეორეს მაგრად ეკროდენ.

— ციც, შე მსუნაგო — დააფრთხო ლადომ ხის ტოტზე შესკუპული ფისო, რომელიც იქვე მიკიდულ გალიას თათს უცაცუნებდა და საცოდავ ჩოჩრებს შიშის ზარს სცემდა. — ტყუილუბრალოდ იწუხებ თავს, გირჩევნია თაგვები დაიჭირო, საწყობში მარცვლები მთლად გაანადგურეს; ჩემ ჩოჩრებთან-კი ხელი არა გაქვს! — ამაყად მიაძახა ლადომ და ჩოჩრებს საკენკი დაუყარა. ისინი თავის მზრუნველს ისე შეეჩვიენ, რომ ხშირად საკენკს მისი ხელიდან მიირთმევდენ. ლადოს ხშირად გამოჰყავდა მინდორზე პატარა ტუსაღები, რომელნიც ჩვილი ფეხებით მწვანეზე უჩვეულოდ დაგოგავდენ. დღითიდღე იზრდებოდენ ლამაზი ფრინველები; დაფრთიანდენ და ახლა უფრო გაბედული გოგმანით დაცეკვავდენ მწვანეზე, როცა ლადოს თავისი მეთვალყურეობით გალიიდან გამოყავდა. ლადომ საჭიროდ დაინახა მათი გადაყვანა დიდ გალიაში დედამწყერთან ერთად და ასეც მოიქცა.

—

ერთ დილით, ლადომ, გაიღვიძა თუ არა, ჩვეულებრივად საკენკით გალიას მიაშურა. საშინლად გაოცდა; გალიაში მარტო დედამწყერი დაუხვდა. გალიის კარი ისევ დაკეტილია: — ეს ნამდვილად გოგიას ოინებია; იმას რჩებოდა თვალი ჩემს მწყერებზე, ალბათ, ხუმრობით დამიმალა, — ჩაილაპარაკა ლადომ და მეზობლისას მოკურცხლა.

— ბიჭო, გოგია, რა ხუმრობაა ჩოჩრების დამალვა, მომეცი, საკენკი უნდა დავუყაროთ! — საყვედურით მიმართა ლადომ აივანზე გადმომდგარ ნამძინარევ ბავშვს, რომელიც პერანგის ამარა ზანტად იზმორებოდა. გოგიამ ჯერ ვერ გაიგო რას უსაყვედურებდა ამხანაგი და გაოცებით შეხედა, შემდეგ დაარწმუნა, რომ თვალითაც არ უნახავს გუშინ და დღეს მისი მწყერები. ლადო შიშმა შეიპყრო.

— ალბათ წყეულმა კატამ მიაღწია მიზანს, მაგრამ კარი რომ დაკეტილია? — ისევ მივიდა გალიასთან, გასინჯა. გალია არ იყო მჭიდრო და შესაძლებელი იყო კედლებიდან პატარა მწყერები გამძვრალიყვენ. ფისო იქვე ახლოს იწვა და გალიას მისჩერებოდა.

— კატას რომ შეეჭამა, ბუმბულს მაინც ვნახავდით, - დაამშვიდა დედამ ლადო. — წუხელ მთელი ღამით პურის საწყობში მუშები მუშაობდენ, ალბათ, სინათლის შუქზე გალიიდან გამოძვრენ.

ლადოს დედა მართალი იყო. მწყერებმა სიბნელეში შენიშნეს თუ არა სინათლის შუქი, კედლებს მიაწყდენ. დედამწყერი ვერ გაეტია უჯრედებში. პატარები გაძვრენ და უჩვევი ფრენით საწყობს მიაშურეს. განთიადისას-კი ნაჩალევისკენ გასწიეს. პატარა ჩოჩრებს თუმცა უყვარდათ მათი მზრუნველი, მაინც პირველ შემთხვევისთანავე უყოყმანოდ მიატოვეს სატუსაღო — გალია — და უპირატესობა გაშლილ ველს მისცეს. ამაოდ ეძებდა ლადო საყვარელ ჩოჩრებს, იმათ უკვე მონახეს თავისთვის შესაფერი ბინა.

ქსენია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელებს მხიარულებს
ყოველ დღისით ვხედავ ზღვასთან,
მივალ ხშირად, ვიხახულებ,
ვუსმენ იმათ სიცილ-კასკასს.
მათ სიმღერას, მათ საუბარს,
ამ კუროორტზე ვინ არ იცნობს!
კარგებია, ყველას უყვარს
ვანო, გოგი, თინა, ციცო...
მცხუნვარ მზის ქვეშ სულ დაშავდნენ,
შეემატა ძალა კუნთებს,
შეჰხარიან, აფასებენ,
ბანაკობის ძვირფას წუთებს.
და მათ თვალებს სიხარულის
ნაპერწკლები გაანათებს,
მშვიდადა აქვთ ბიჭებს გული,
როგორც ყველას,
ტანით ჯანმრთელს.
ქღურტულებენ,
ზღვის ნაპირზე
ჩაჰყვებიან ფრთხილად ქვიშას,
შემოარტყამთ ტალღა წვივზე
და რიყეზე გამოთიშავთ.
ხელმძღვანელი დგას იქ ახლო,
საშიშია ეს ზღვა დიდად,
წყალი აჩენს ტალღის მაღლობს,
როცა ფიქრობ არის მშვიდად.
ნაპირიდან გამოჩნდება,
მოგონების თავსახვევი,
გადაუართ იმათ მაღლით
მძლავრი ტალღის მონამსხვრევი...
ქღურტულებენ,
რა სჯობს ახლა
ამ მზეს,
ამ ზღვას,
ტალღის ალერსს...
გულმერცხალებს
ყველგან ნახავთ,
ეზრდებიან მშობელ მხარეს.

მიხეილ ებრალიძე

სალამი ჩემს დედიკოს

(სანატორიუმიდან)

მე დღეს კარგად ვარ,
აღარ მღალავს
ცელქობა ბევრი.
დავსდევ პეპელებს,
ჩემს ტოლებში
ვცეკვავ და ვმღერი.
ვიჭერ კალიებს,
ვკრეფ მარწყვებს და
ვმსჯელობ ჭოლოზე,--
ჭოლოც ხომ ჩქარა
დამწიფდება
მინდვრის ბოლოზე!
ჭშვენის აგარაკს
ჭანჭური და
შავი ქლიავი
და ეს უანები,
როცა თაველს
არხევს ნიავი.
დედიკო, აქ მზეც
სხვანაირად
ანათებს არეს,
და ვერ აგიწერ
რა კარგია
წალვერში მთვარე!!
მე დღეს კარგად ვარ,
გავჯანსაღდი
და მოვიკეთე,
ზუსტად ვასრულებ
ექიმების
ყოველ განაკვეთს.
მივლიან კარგად,
არ მაკლებენ
ზრუნვას, სიყვარულს...
გიგზავნი კოკნას,
ჩემო დედი,
და ბევრ სიხარულს!

მიმძრალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

...რა ლამაზი იყო გაზაფხული, მაგრამ ეს სილამაზე სულერთიანად დაიკარგა, როდესაც მამამ დაჭრილი წერო მოუყვანა ნუნუს. სისხლიანი ფრთის დანახვაზე ნუნუმ ცრემლები გადმოყარა და დიდი მზრუნველობით შეუხვია ჭრილობა. ამ დღიდან ნუნუ და წერო დამეგობრდენ.

— გიშ — გიშ — გიშ! — თავისებური ენით გაელაპარაკა ნუნუს, თითქოს მადლობას უხდისო. წარმოიდგინეთ, ნისკარტითაც მიუალერსა ისე ნაზად, ისე სათუთად, რომ ნუნუს კიდეც იამა

მისი ასეთი მოშინაურება, აკოცა და თავზე ხელი გადაუსვა.

—მოიცა, ჩემო გიშგიშ, მოიცა, მე შენ უნდა მოგრთო,— და იმავე წამს დედოფლებს წითელი ბანტი ახსნა და ახლა თავის დობილს გაუკეთა გრძელ კისერზე. რარიგ დაშვენდა გიშგიშა! ქათქათა ქათიბზე ცეცხლოვანი ვარდივით უკრთოდა ის ბანტი. გიშგიშას ჯერ ეჩოთირა ასეთი სამკაული, მაგრამ ბოლოს ამასაც შეეჩვია და ხელახლად „გიშგიშის“ ძახილით მადლობა გადაუხადა თავის კეთილისმყოფელს. შემდეგ ხომ სულ უკან-უკან დასდევდა, რომ მისი ხელით მიეღო სათუთად შერჩეული საჭმელები. უნდა გენახათ რა სასაცილო სიარული იცოდა იმ გრძელი, გიშრის წვრილი ლერწმებივით ამართული ფეხებით და ყარყარა ყელით! იგი გრძელ ნისკარტსაც, ყვითელ ქარვასავით რომ უელავდა, წამოიღებდა და ნუნუს კალთას დაიჭერდა ხოლმე. სასაცილო იყო! ნუნუს პირველ ხანებში ეშინოდა კიდევაც გიშგიშასთან ასეთი სიარული, შემდეგ კი შეეჩვია, ხელს მოხვევდა და ერთად დასეირნობდენ ბახჩაში, სადაც გიშგიშა ლოკოკინებსა და ნუნუსთვის უჩინარ მწერებს დაეძებდა. ნუნუს ერთხელ მთელი დღე არც კი დასძინებია, როდესაც გიშგიშამ კარგა მოზრდილი გომბეშო დაიჭირა და ცოცხლად გადაყლაპა. გაუწყრა, ეგ რა ჰქენიო, მაგრამ მამამ აუხსნა, გიშგიშას ტკბილეულობაზე მეტად ეგ უფრო უყვარსო.

გიშგიშა როცა გაძღებოდა, ნუნუს ფანჯარაში იცოდა მოკალათება, კოჭლ ფეხს დაჭრილი ფრთის ქვეშ აიკანჭურებდა, ნაღვლიანად დაიწყებდა თვლემას, ბოლოს იმ ბანტიან კისერსაც ამოიდებდა ფრდებქვეშ და ტკბილ სიზმარს ეძლეოდა.

ო, ეს სიზმრები! იგი მუდამ ჭაობში დაფრინავდა, ეომებოდა ბაყაყებსა და ცივსისხლიან ქვეწარმავლებს, მაგრამ... უცებ თოფის გრიალი მოესმოდა და შეფრთხალი გაახელდა თვალებს. მხოლოდ ახლა შენიშნავდა, რომ ის ისევ ნუნუსთანაა და არც წყეული მონადირე მიეპარება ხელახლად თოფის სასროლელად.

II

ნელ-ნელა, მაგრამ ჭრილობა ფრთასა და ფეხზე მთლად შეუხორცდა გიშგიშას. პირველად რომ ფანჯრიდან ეზოში გადაფრინდა, ფრთამ ტკივილი დაუწყო და კიდევ ერთი კვირა შეიცადა. მეორე გადაფრენაზე ტკივილი აღარ უგრძვნია, მაგრამ ფრენა მაინც უმძიმდა. შემდეგ თანდათან გათამამდა, თავისუფლად დაჰფრენდა, ახლა სიარულს აღარც კი კადრულობდა, ფანჯრიდან პირდაპირ ბაღჩას ეწვეოდა რუს ნაპირებზე სანადიროდ. ნელ-ნელა ბაღჩასა და ეზოსაც გასცდა. სულ ბოლოს კი გაბედა, ძალიან მაღლა აფრინდა, კისერი გაიგრძელა და ალღოთი სულ მალე მიაგნო საყვარელ ჭაობს, სადაც სამი თუ ოთხი სხვა ამხანაგიც ნახა. გიყვარდეთ, რომ იმ დღეს გული იჯერა ბაყაყებით! მისი ამხანაგები გააოცა მეგობრის ყელის სამკაულმა, ერთმა ნისკარტიც კი შეახო მოსაპარად, მაგრამ გიშგიშამ არ დაანება. ნუნუს სახსოვარი სიკვდილამდის ასე უნდა ვატაროო და პატარახანს კიდევ იომა ჭაობის ცივსისხლოვან ცხოველებთან. მხოლოდ მაშინ, როდესაც მზემ ხანძარი წაუკიდა მთელ ბუნებას და ჭაობის უცნაური სამეფო ახმაურდა ყიყინ-ყიჟინით, იხვებიც გუნდ-გუნდად წამოიშალნენ და თავთავიანთი ბუდეები მონახეს, გიშგიშამ ამოიოხრა, ფიქრმორეული თვალები გადაავლო ნაირ-ნაირ ჭაობის მცენარეებს, ყვითელ-ცისფერი და ალისფერი საყურეებით რომ გამოიყურებოდენ, ერთიც გაუნავარდა ღამის მწერებს და, ნუნუს არ ეწყინოსო, ისარივით გამოსრიალდა დობილისკენ...

ნუნუ დანაღვლიანებული დახვდა. ასე გონებოდა, გიშგიშამ სამუდამოდ მიმატოვაო.

— აი, შე საძაგელო, გული-რას გამიხეთქე, ჰა? სხვა დროს მაგდენი აღარ მალოდინო, თორემ შინ სულაც აღარ შეგიშვებ და ამ ბანტსაც წაგართმევ...

— გიშ-გიშ-გიშ! უპასუხა გიშგიშამ.

ნუნუმ ეს ერთგვარ ბოდიშად მიიღო და ფანჯრის კარი გამოუღო.

III

ერთ მშვენიერ დღეს ნუნუმ შენიშნა, რომ მისი გიშგიშა სახლის სახურავზე ჩინჩახვებსა და ჩალა-ბუდას ეზიდებოდა.

— რა ვქნა, მამი იქ რას აკეთებს?

— ბუდეს, შვილო, ბუდეს, ალბათ შვილები უნდა გაიჩინოს.

და, მარლაც გიშგიშამ ბუდის მოწვნის შემდეგ კვერცხები დადო, აკრუხდა და დიდის მოთმინებით იჯდა გარინდული, თითქოს აღარც ნუნუ ახსენდებოდა და აღარც საზრდო. ღამით ვარსკვლავთა სიმღერას ისმენდა. უნდა გენახათ, გული როგორ აუჩქროლდა, როდესაც სწორედ

შუაღამისას კვერცხის ნაჭუჭი პატარა გრძელი ნისკარტით გამოტეხეს შიგნიდან და განთიადისას უკვე ორი შვილი შეეძინა. გიშგიშასთვის იმაზე მშვენიერი

დღე არასოდეს გათენებულა. ასე ეგონა, რომ მას უმღეროდა ამომავალი მზეც, ტოროლაც, კუნელის კენწეროზე შემჯდარი ბულბულიც, მოლალურიც. ოჰ, შვილს ხომ უყვარს და უყვარს დედა, ვიდრე გაზრდა ეჭვრება, მაგრამ დედა? დედა სულ სხვა რამაა, მის სიყვარულს ვერც დრო წაშლის და ვერც ქარიშხლები, გარდა ერთი სიკვდილისა, და აი, ჩვენი გიშგიშაც, როცა ბარტყები გამოჩეკა, ნუნუს ეწვია და ანიშნა. აბა მოდი, და ნახე, რა შვილები დავჩეკე.

მამამ ნუნუ ფრთხილად აიყვანა ბუდესთან. ნუნუს გაუკვირდა, რა აქვს გიშგიშას სასიხარულო, ასეთი უშნო შვილები ჰყოლიაო. მართლაც, ბარტყები თითქოს მთლად ტიტვლები იყვნენ, გალურჯებული ხორცის კანით, მაგრამ გიშგიშას თვალში იმათზე ლამაზი, იმათზე საყვარელი და ქვეყნის თვალი არავინ იპოვებოდა ამ ქვეყანაზე.

ორიოდე კვირაში ბარტყებს ბუმბული გამოესხათ. ნუნუმ რომ ხელახლად ინახულა, ისე მოეწონა ორივე, ისე, რომ ველარ მოითმინა და ორივეს ლამაზი ქათიბი დაუკოცნა და თავ-თავისთ ბანტებით მორთო. ახლა სულ შეიცვალა ნუნუ, მისი დიდი გართობა ის იყო, რომ გამოსულიყო და ეცქირა, გიშგიშას როგორ მიჰქონდა ბარტყებთან საზრდო, ხოლო ისინი რა ზეიმით აღებდენ ნისკარტს! მაგრამ მათი ფრთები, ოჰ, მათი ფრთები! მაღლა რომ აიშლიდენ, მზის სხივებზე ცისარტყელას შუქს უშვებდენ, ისე საყვარლად თითქოს ნუნუს ეპატიჟებიან, მოდი ამ ხავერდოვან საქანელაზე დაჯექი და ინავარდეო.

ნუნუს გიშგიშას ბარტყებისათვისაც მიჰქონდა ტკბილეული, მაგრამ ისინი არ იღებდენ, ჯერ უნდობრად უყურებდენ და ბევრად ამჯობინებდენ ისევ დედის ოქროს ნისკარტით მოტანილი საზრდოთი გამაძღარიყვნენ...

დავით კასრაძე

(დასასრული შემდეგ)

სახანძრო რაზმის კუთხე

დღეს დეიდამ უთხრა ბავშვებს:
ჩვენ გავმართავთ ახალ თამაშს.
კარგის სახელს მივანიჭებთ
მარჯვესა და უფრო თამამს.
თქვენ ახლაც კი კარგად გახსოვთ
იმ სახანძრო ცეცხლის ბინა,
ჩვენ რომ ყველამ აღტაცებით
ვინახულეთ ამასწინათ.
ვნახეთ მათი მორთულობა,
წყლის მილები, გრძელი კიბე,
დიდი ბოჭკით დიდი ავტო
და მრავალი სხვა რამ კიდევ...
და ჩვენც ახლა იმათ მსგავსად
შევუდგებით კუთხის მართვას,
გავაკეთოთ იმნაირად,
მოვაჩვენოთ ყველას მართლად...
და ბავშვებიც სიხალისით
აგროვებენ ჯოხებს, ყუთებს,
უხარიათ, რომ ექნებათ
მათ სახანძრო რაზმის კუთხე.
შოთაც, მარჯვე „ხელოსანი“,
თითქმის მორჩა ფიცრის ავტოს,
უსვამს ხერხს და თანაც გულში
შოფერობას დიდად ნატრობს!
ნოდარი კი ცულით ხელში,
აწესრიგებს კიბის საქმეს;
გაუჭრია ხე შუაზე,
გაუბურღავს იქით-აქეთ
ქალალდისგან კოხტა ქუდებს
კერავს ლია, როგორც იცის,
გაისინჯა თავზე ერთი,
ვერ იჭერენ სხვები სიცილს...
ფანჯრის გვერდით მაგიდასთან
ჩამოკიდეს „დიდი“ ზარი,
„ბოჭკაც“ იქვე მოაგორეს,
ყველაფერი რიგზე არის!
მორჩენ საქმეს მხიარულად,
მათ სახეზე ღიმი დარჩა,
და საუზმით დაასრულეს
გართობა და სწავლა-გარჯა.

სანდრო ულენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატარებელი პარკში

1.

ძაძუს როგორღაც ძველი ხელნაწერი ჩაუვარდა ხელში. ყვითელ ქაღალდზე სიტყვები გრძელი დაკლაკნილი ასოებით ეწერა. ძნელი წასაკითხავი იყო. მერე დედამ წაუკითხა, აუხსნა, რომ ის ქაღალდი ხბოს ტყავიდან იყო დამზადებული. ამან კიდევ უფრო მეტად გააკვირვა.

ძაძუმ სხვა რა უნდა გაიგოს ამაზე უკეთესი?

ფიქრობს, მაგრამ ჯერ ვერც-კი მოუგონია. აი, დედიკომ როგორ გაახარა პატარა ძაძუ... რა მოუსვენარი გოგოა ძაძუ! გაჩერებულიც რომ იყოს, მისი სხეული თითქოს მაინც მოძრაობს. იგი პატარა ცუგრუმელა გოგონაა. შემოკრეჭილი თმა მუდამ უკან აქვს გადავარცხნილი. მისი წვრილი, მოხრილი წარბები თითქოს გაკრული ხელით დაწერილი ქართული ორი ინია. ძაძუს ოდნავ მოგრძო სახეს ძალიან უხდება მოუსვენარი შავი თვალების ტრიალი.

მარტო დედიკოს კი-არ უყვარს ძაძუ, სხვებსაც უყვართ. დედა ყოველდღე ახალ ამბავს უყვება. დღესაც ელის ერთ ახალ ამბავს... „ნეტავ რა უნდა მითხრას?“

„ნეტავ დედიკოს ვინღა უყვება ამდენ ახალ ამბავს?“, — აი რა კითხვა უტრიალებს თავში ცუგრუმელა ძაძუს.

— დედიკო, მე როდის-ღა მეცოდინება შენოდენი ახალი ამბები?— შეეკითხა დედას ძაძუ და მის ლამაზ სახეს ღიმილი ევლება. მერე რა ლამაზად უხდება ეს ნაზი ღიმილი, სახეს რომ წითლად უფოროჯებს!

დედა მოეფერა. ქუჩუჩა თმებში სავარცხელივით გადაუსვა თავისი გრძელი თითები და თვალებში უცქერის.

— ჰოო, მაშინ, დიდი რომ იქნები.

— დიდი?! ნეტავ როდის ვიქნები დიდი?

— მალე, სულ მალე...

2.

ზაფხულია.

ტფილისში მეტად ჩამოცხა. რწყავენ ქუჩებს, აგრილებენ, მაგრამ მაინც სიცხეა, მაინც მტვერია. ბავშვებს აგზავნიან ბანაკებში, ზოგი სოფლებშია. ძაძუც მალე უნდა წავიდეს სოფელში, მაგრამ ჯერ ისევ ტფილისშია. დედიკოს ყოველ საღამოს ტფილისის ბაღებში დაჰყავს. წელს იგი ფრიადოსანი მოწაფეა, გაზეთშიც

იყო დახატული. ვინ იცის, რამდენ ადამიანს მისი გვარი და სახელი აქვს წაკითხული.

— ძაძუ, გამოეწყვე, ახალი ტანისამოსი ჩაიცვი, ამ საღამოს მუშტაიდში უნდა წავიდეთ.

ძაძუ შეირხა, გაეხარდა.

— მუშტაიდი... დიდუბეში რომ ბაღია? ეგ ხომ შორია აქედან!

— იჰ, შენ რა იცი. იქ დღეს დიდი ამბავი იქნება. იმ ბაღს დღეიდან ახალ სახელს დაუძახებენ. კარებზე დიდი ასოებით წაიკითხავ: — „კულტურისა და დასვენების პარკი“.

ამის მეტი არა უთქვამს დედას.

— მერე, რანაირი იქნება ეგ პარკი?

— ვნახოთ და მერე შენ თვითონ მომიყევი, მამასაც უამბე.

ძაძუს მეტად ესიამოვნა ეს სიტყვები.

— მაშ, მეც დიდი ქალი ვიქნები დღეიდან...

— რატომ? — გაკვირვებით შეეკითხა დედა.

— ახალ ამბავს თუკი ვიტყვი?!

დედამ გაიცინა, ისევ თავზე გადაუსვა ხელი და სიცილით უთხრა:

— ძალიან გინდა, გოგო, ქალობა!

ძაძუ გაიქცა, პირი დაიბანა. ან კი რად უნდა პირის დაბანა, როცა ვარდივით გაშლილი სახე აქვს, მაგრამ ასეა დაჩვეული, უყვარს კოხტაობა, კარგია სიფაქიზე.

3.

ძაძუ და მისი დედიკო ერთად შევიდენ ყოფილ მუშტაიდში. ბაღს სულ სხვანაირი სახე აქვს. თითქოს მთელი ტფილისი აქ მოგროვილა. ხალხი ბაღში შესვლისთანავე მარჯვნივ უხვევს. ძაძუს სრულიად დაავიწყდა ხბოს ტყავიდან დამზადებული ქაღალდი...

აი, აგერ პატარა რკინისგზა. რა ლამაზად უხვევს, მიდის, მიდის და მერე თითქოს სადღაც იქით, მოშორებით დაბურულ ხეებში იმალება. ამ ლამაზად გაშოლტვილ რკინისგზაზე წითელი ხალიჩაა გაფენილი, მაგრამ იგი მართლა ხალიჩა კიარაა, აგურის ფხვნილია, რომელზეც ორი პარალელური შავი ხაზი თითქოს კალმის წვერითაა გავლებული.

— ნეტავ, ვინ გააკეთა ასე ლამაზად? — ფიქრობს ძაძუ, თავს მაღლა წევს, ფეხის წვერებზე დგება: უფრო კარგად, უფრო აშკარად დანახვა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად გაისმა ორთქლმავალის ხმა, სტვენას უფრო ჰგავდა, წვრილ ხმაზე კიოდა.

— დედიკო, ეს რისი ხმაა? — კითხულობს ძაძუ.

— მატარებელია.

— აქ რა უნდა მატარებელს?

— ძაძუ, იცი რა გითხრა, შენისთანა პატარა ბავშვებს გაუკეთებიათ. ისინი რკინიგზელთა შვილებია.

— უჰ, ნეტავ მეც რკინისგზელის შვილი ვიყო! — გულუბრყვილოდ წამოიძახა ძაძუმ.

აჰა, გამოჩნდა ნამდვილი მატარებელი. მოსრიალებს ლამაზად გაწყობილ ლიანდაგზე, კივის ხანდახან მოსახვევებში...

რა პატარა და კეკლუცი ორთქლმავალია, თითქოს დახატულია. კაცის სიმაღლეა. შეიძლება ცოტათი მოიმეტოს. მოახლოვდა ორთქლმავალი, უკან სამი ვაგონი მოსდევს. ორთქლმავალში პატარა მემანქანე ტრიალებს. რა მშვენიერად დაუკაპიწებია. იგი ძაძუს ხელაა, მგრამ მემანქანეა, მატარებელს მიაქროლებს, ფხიზელ თვალს ლიანდაგს არ აშორებს.

აი, კონდუქტორებიც ძაძუსოდენაა. პატარა გოგონებია. ვილაც უბილეთო მგზავრი დაიჭირეს, მერე როგორი ჩო-

ჩქოლი ატყდა. იგი სადგურ სამხიარულოში დატოვეს.

ძაძუ არ მოეშვა დედიკოს, სანამ მატარებელში არ ჩასხდენ. ორთქლმავალმა დაიკივლა და გაქანდა. ძაძუ საზაფხულო ვაგონიდან აქნევდა თეთრ ცხვირსახოცს, ემშვიდობებოდა ხალხს, თითქოს სადღაც შორს, შორს მიემგზავრებოდა.

4.

სრულიად გამოცვლილა ძველი მუშტაიდი. ძველი კი არა, დღევანდელი მუშტაიდი შარშანდელსაც აღარ ჰგავს. აი, აგერ, შუა ბაღში შადრევნებია, მაგრამ იქით კიდევ უფრო მეტი სანახაობაა. პატარა ცარიელ ადგილზე ამართულია დიდი; ძალიან მაღალი საპარაშუტო კოშკი. იქედან რომ გადმოვარდე, სული არ დაგყვება ძირს. ამ საპარაშუტო კოშკის მწვერვალამდის ბურღივით დაკლაკნილი კიბეა ამართული.

ამ კიბეზე სიცილ-კისკისით არბიან გოგო-ბიჭები...

სივრცეში ვეება ქოლგასავით გაშლილი პარაშუტია აშვებული...

ძაძუმ პირველად ნახა პარაშუტი. ამისმეტად არც დედამისს უნახავს. ორივენი გულდასმით უგდებდენ ყურს ხალხის ლაპარაკს.

აჰა, ვიღაც კოშკის მწვერვალიდან გადმოხტა, რა შურდულივით დაეშვა სივრცეში, მოქრის და მოაფრიალებს გალილი პარაშუტს. ძაძუ შეკრთა, მაგრამ ახალგაზრდა „პარაშუტისტი“ უვნებლად ჩამოხტა ძირს. გოგოებიც ხტებოდენ. იდგა ხალხი და უყურებდა ამ დიდი სიმაღლიდან ხტომას.

ძაძუმ ბევრი რამ ნახა ყოფილ მუშტაიდში. შინ რომ დაბრუნდა, ახლა თვითონ დაიწყო ამბის მოყოლა, მთლიანად გადაიქცა. დედას კი აღარ აცლის ლაპარაკს.

— ტფილისის საბავშვო რკინისგზის შექმნაზე ხუთასი ბავშვი მუშაობდა. ისინი ბრიგადებად იყო დაყოფილი. თითო ბრიგადა ექვსდღიურში ერთხელ მუშაობდა ორ საათს. სამუშაო საათი ორმოცი წუთისაგან შესდგებოდა, ისვენებდენ ოცდაათ წუთს, — რა ამაყად ლაპარაკობდა ძაძუ ამ სიტყვებს, თითქოს უცხოეთიდან იყო ახალდაბრუნებული, მაგრამ განა უცხოეთში რა უნდა ენახა ამისთანა, აქ პარკში რომ პატარა გოგო-ბიჭები თავისი ხელით გაკეთებულ მატარებელს მიაქროლებენ. ეს ხომ პირველად ტფილისელმა ბავშვებმა გააკეთეს.

ლავრენტი ჭიჭინაძე

პატარა დიასახლისი

—ვიცი, დედა მინდვრებიდან
დაბრუნდება დღეს დაღლილი,
მინდა რამეს დავეხმარო,—
ეუბნება ოთარს ლილი.
— მინდა, დედა როცა მოვა,
ყველაფერი რიგზე იყოს,
რომ კვლავ შრომა არ დასჭირდეს
აქ საყვარელ ჩვენ დედიკოს.
ძლიერ დაღლის, შინ და გარეთ
რომ აკეთოს ყველაფერი,
დავეხმაროთ, ოქტომბრელებს
ტყვილად ყოფნა არ შეგვფერის!
გამიგონე, მე სახლს დავგვი,
ჭურჭლებს დავრეცხ, როგორც ქალი,
შენ კი, ოთარ, მოიტანე
კოკით წყაროს ცივი წყალი...
და საღამოს როცა დედა
შემოაღებს სახლის კარებს,
დამერწმუნე, ჩვენი შრომა
მას ძალიან გაახარებს!

ნ. შველიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სინდიოფალა

ბიცოლა ბერისანა დილით მერცხლის ჟღურტულს დაასწრებდა ხოლმე ადგომას. ნაცრისფერ თავსაფარს მოიხვევდა, მკლავზე ხელკალათას წამოიცვამდა და ღელის პირებს დაჰყვებოდა ჭუკების ფხლის მოსაკრეფად. მზის ამოსვლამდის უკანვე ბრუნდებოდა და თან ცვრიანი ჯინჭრითა და ფერა-ფერათი გატენილი კალათა მოქონდა. მოხარშავდა, გადაწურავდა მუხის ფიცარზე გადმოყრიდა. შემდეგ ქატოს მოაყრიდა, ცოტა უჯანგარსაც გადააჭრიდა და ასე შეკაზმულს მოკეპავდა. ცოტა ხნის შემდეგ საქათმის კარს გამოაღებდა; იფთქიალებდენ ვარიები და გადაევლებოდენ თავზე. აქოთქოთდებოდა ჭრელი კრუხიც, გადმომხობილ ჯინ ქვეშ რომ ჰქონდა საბუდარი მოწყობილი. „წივ!.. წივ!. წივ!.“—მოებმებოდენ უკან კუდივით ინდოურის ჭუკები და, ბერისანაც მოკეპილი ფხლისკენ წაუძღვებოდა მათ „ჭუკი-ჭუკი“-ს ძახილით. „წივ! წივ! წივ“! — წივოდენ გაბმულად დაფრთიანებული ჭუკები და ერთმანეთს სწიწკნიდენ ნისკარტიდან ცხელ ფხალს.

ყოველ დილით ასეთ გაწამაწიაში იყო ბიცოლა ბერისანა. წვრილფეხს რომ მორჩებოდა, ძროხისთვის და სხვა საოჯახო საქმისთვის უნდა მიეხედა. მთელი დღე დატრიალებდა ოჯახში დაუსვენებლივ.

— ქალო ბერისანა, დავანებოთ მაგ ჭუკებს თავი, ნულარ ვიყოლიებთ, თორემ შენ მაგათი მოვლა გადაგიტანს თან, — ეტყოდა ხოლმე ბიძია იაგორა და მოწითალო წვერზე ჩამოისვამდა ხელს.

— რას ამბობ, კაცო, ათასი მტერ-მოყვარე გვყავს, ყველას პასუხის გაცემა უნდა, მარტო ყველი და ბოსტნეული რავა მიუტანო სტუმარს სუფრაზე?! არა, ჭუკებს და წიწილებს ჩემი თავივით ვუფრთხილდები, რავა შეველევი!

მართლაც ძლიერ უფრთხილდებოდა, მაგრამ არ უშველია სიფრთხილემ. ერთხელ, დილით, საქათმის კარი რომ გამოაღო, სამი ჭუკი და ორი ვარია დაჰხვდა მკვდარი. თავში ხელი წაიშინა: „დევიღუპე, ქათმებს ჭირი დაჰრევიათ და მთლად გამიწყვეტავსო“ — იძახოდა გამწარებული. მეზობლის მოხუც ქალს პოლინეს დაუძახა.ისიც წინსაბიჯით და შავთავშალმოხვეული გადმობაჯბაჯდა. მკვდარ ვარიებს გამოცდილი თვალი გადაავლო. ერთი მათგანი ხელში აიღო, კისერი გაუსინჯა და ბერისანას მიუბრუნდა:

— რის ჭირი, ქალო, სინდიოფალას დაუკლავს, დასწყევლოს ღმერთმა მისი გამჩენი!

— უიმე! მაინც რაღა ვქნა, ჩემო პოლინე, ჭირზე ნაკლები არც ის არის, ვერას გზით ვერ დაიჭერ, ვერცხლის წყალივით გამიძვრება ხელში.

— ნუ გეშინია, ერთი ჭიქა რძე მომიტანე და მე ვიცი, შევულოცავ და მორჩა, იმ წუთიდან ადგილს ველარ გაეკარება. ბერისანამ რძე მოუტანა. პოლინემ ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და ჩიფჩიფით დაიწყო შელოცვა:

„სინდიოფალა დედაო,
სინით რძე შეგინახეო,
თაგვმა-ვირთხამ შეგიჭამა,
სიკე-მაკე იმასაო“.

გაიმეორა სამჯერ, ლოცვა გაათავა და ბერისანას უთხრა:„ ღამით, როცა ქათამ-

მა დაიბუდოს, საქათმეში შედგიო. ასეც მოიქცა ბერისანა, მაგრამ მეორე დილით უფრო უარესი ამბავი დაუხვდა: ერთი ვარია და ოთხი დედალი დაეკლა კიდევ, რძეც დაელია. გადაწყვიტეს პალატში გადმოეტანათ საქათმე.

ჩვენი და ბიძია იაგორას სახლი სულ ოცი ნაბიჯით იყო ერთმანეთს დაშორებული. ბიცოლა ბერისანას რომ სინდიოფალამ ქათმები და ჭუკები დაუკლა, მე დავინტერესდი და გავიფიქრე: „ნეტავი მაჩვენა, რანაირია სინდიოფალა. ჩვენ მურაზე მეტი ხომ არ იქნება?!. ერთი მანახვა და თვალს მაინც წამოვთხრი ჩემი კოდალით“. გავუდარაჯდი: სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, თუთის ქვეშ ვჯდებოდი, ბიცოლა ბერისანას საქათმის გვერდით რომ იდგა. ლექსებს ვკითხულობდი და თან შვილდ-კოდალსაც არ ვიშორებდი. იმ დღეს, როცა ბიცოლამ ქათმების პალატში გადაყვანა გადაწყვიტა მზის ჩასვლამდის ვიჯექი თუთის ძირში. ქათმები იბუდებდენ. ბინდი გამოცდილ ქურდივით ეპარებოდა ეზოს. მეც ავდექი და ის იყო სახლში წასვლა დავაპირე, რომ, უცებ, თუთის ფუღუროდან დიდი ვირთაგვა ამოძვრა, თუთის ტოტებს გაჰყვა და ტოტიდან ტოტზე ხტუნვა იწყო. გამიკვირდა: ხეზე ასული ვირთაგვა ჯერ არ მენახა. წამოვეპარე, დრო შევურჩიე: როცა ერთ ტოტზე შეჩერდა, კოდალი დავუმიზნე და ვესროლე. ო, რომ იცოდეთ, როგორ გამეხარდა როცა იმედი არ გამიცრუვდა!.. ნანადირევი ჯერ ჰაერში შეტრიალდა და მერე ჩემს თვალწინ დაეცა. არც კი დამიხედია ზედ, პალატისაკენ გავქანდი:

— ბიცოლა, ბიცოლა ბერისანა! გამოდი, აი, ნახე, სინდიოფალას ვუდარაჯებდი, შეიძლება ღელიდან ამოძვრეს მეთქი, და სამაგიეროდ რამხელა ვირთხა მოვკალი! ბერისანა მკლავებდაკაპიწებული ამზადებდა ვახშამს. ნაცრისფერი თავსაფარი გაისწორა, ჭადი ამოაბრუნა, გამოვიდა და რომ დაჰხედა, სიხარულით წამოიძახა:

— ბიჭიკო, გენაცვალე, სინდიოფალა მოგიკლავს! ამაღამ აღარ გადავიყვან ქათმებს პალატში. ჩემი ნონადირე ბიჭი, ენაცვალოს ბიცოლა! — იძახოდა და მკლავნიდა.

— გამიშვი, ბიცოლა, ჩემ ნანადირევს მე აღარ მანახვებ?! — ხელიდან დაუსხლტი და რომ დავხედე, გავიფიქრე: „მართლაც და ვირთხას სიდიდით თუ ჰგავს მხოლოდ სხვით არაფრით“. ჭრელი ვირთაგვა სად გაგონილა, ეს კი ჭრელია: ზურგი მოწითალო აქვს, გული თეთრი. კუდი კატას უფრო მიუგავს, ვიდრე ვირთაგვას. ამას რავა ვერ ვიცნობდი, მაგრამ ბნელოდა და ვეღარ გავარჩიე. ანდა რა მეგონა, თუ ასეთი პატარა ოთხფეხა ცხოველი დაკლავდა იმდენ ქათამს! კბილები ნემსებივით ჰქონია და ამიტომ იყო, რომ, თუ ძლიერ არ დააკვირდებოდი, ჭრილობას ვერც კი შეამჩნევდი საწყალ ვარიებს. თითქოს ვიღაცას ნემსით უჩხვლეტიაო ყელზე, ისე ჰქონდათ სწორედ.

ნანადირევი თუთის ფუღუროში შევინახე, რომ მეორე დღეს ამხანაგებისთვის მეჩვენებია. ბიძია იაგორა სათოხარიდან დაბრუნდა. დერეფანში ხელი გადაიბანა. ვახშმობის ხანს აღარც მე გამომიშვეს. ბერისანამ სუფრა დერეფანში გაშალა და

სამივე გარს შემოვუჯექით. უცებ, პირისკენ წაღებული ლუკმა ხელში შეაშეშდა ბიცოლა ბერისანას და შეშინებულმა მკითხა: — „ბიჭიკო, გენაცვალე, სული არ შეგიბერია“?!

— რისთვის, ბიცოლა?

— სინდიოფალასთვის.

— რატომ უნდა შემებერა?

— ვაიმე, რაღა ვუყო, არ შეგიბერია, როგორც გატყობ! სახეზე ჭორფლს დაგაყრიდა, რიღათი მოგირჩინო ახლა?! წამოდი ოთახში, ლამფის სინათლეზე დავხედო, თვალს მაკლია და ამ მბჟუტავ ჭრაქზე ვერ ვამჩნევ.

მეც გული შემიდგა რაღაც. წავყევი. ხუთი წუთი მიტრიალებდა გარშემო, მაგრამ სახეზე ჭორფლის ნატამალიც კი ვერ აღმომჩინა. ბერისანა გაკვირვებული იყო, რადგან სოფლის ქალების ის ცრუმორწმუნეობა, რომ „სინდიოფალას რომ ნახავ, სული თუ არ შეუბერე, თვითონ მოგასწრებს შებერვას და სახეზე ჭორფლს დაგაყრისო“ — არ გამართლდა. ანდა, რაღა მე მასწავლიდა ჭკუას ბიცოლა ბერისანა! თვითონაც ისეთი ... ტაცებული სიხარულისაგან, რომ ... შებერვა მასაც არ გახსენებია.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ დერეფანში ვუჯექით სუფრას.

— ბიცოლა, შენი ჭორფლის ამბავი ისევე მართალი ყოფილა, როგორც პოლინეს ლოცვა. არც ახლა დამიჯერებ, რომ გეუბნები ხოლმე, ცრუმორწმუნე ხარ და ეგ ლოცვებიც შენისთანა ხალხის მოგონილია მეთქი? — ვეუბნებოდი და თან მიხაროდა, რომ ჩემს საყვარელ ბიცოლას ოჯახს დიდი მტერი მოვაშორე. ბერისანაც მტყუანივით ჩუმდებოდა ჩემს სიტყვებზე და საჭმელს თაგვივით სუსნიდა. ვივახშმეთ. მასპინძლებს „ღამე მშვიდობისა“ ვუსურვე და მეორე წუთში დედაჩემს ვუყვებოდი ჩემი გმირობის ამბავს.

გიორგი კალანდაძე

ბავშვები — მინდვრად

სუფთა დილაა გრილი,
მზე გზას მიიკვლევს დინჯად.
ცელქი ბავშვები ხტუნვით
დროს ატარებენ მინდვრად.
ზოგი ასკინკილს იწყებს
ზოგი მწვანეზე გორავს,
კუდრაჭა თინა კიდევ
ფერად ყვავილებს კონავს,
ხან გაღიმებს ოდნავ,
ხელს თადაუსვამს ტრფობით,
ძან მიაქვს ხოლმე ცხვირთან
და ისევ ყნოსავს გრძნობით.
ვანო მიმართავს ტოლებს:
მოდით, ბიჭებო, ჩემთან,
ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს:
მსურს შეჯიბრება თქვენთან!
ხელში ავიღოთ ქვები,
ყველამ ვისროლოთ რიგით...
ბიჭი იქნება, ვინც რომ,
ბუჩქს გადააცდენს იქით.
ჯერ გაისროლა ვანომ,
ბუჩქს გადასცილდა მაღლა,
სხვების ნასროლი ქვები
იქვე დაეცა დაბლა.
ბავშვს გაუხარდა ძლიერ,
ქვას გააყოლა თვალი,
ახლა კი თითქოს გმირად
წარმოიდგინა თავი.
პატარა ცუგა იქვე
წევს ბურბუშელა კუდით,
საშა, კაკო და მარო
პეპლებს დასდევენ ქუდით.
ჰა, უკვე მოიმწყვდიეს,
ჰგონიათ ველარ გავა,
მაგრამ პეპელა მარდი
ფრთებს შეიქნევს და წავა.
სუფთა დილაა გრილი,
მზე გზას მიიკვლევს დინჯად,
ცელქი ბავშვები ასე
დროს ატარებენ მინდვრად...

დავით ბერიკაშვილი

სახლების გადასახლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო ხანებში ამერიკელები ისე ექცევიან სახლებს, როგორც მაგიდას, კარადას. ვთქვათ, ერთი სახლი ძალიან წინ არის წამოწეული ქუჩაში და ამის გამო იმ ადგილას ქუჩა ვიწროა. აიღებენ ამერიკელები და უკან დაახევინებენ ამ სახლს, ან სულ წაიღებენ იქიდან, და სხვა ადგილას დადგამენ.

შეერთებულ შტატებში უკვე რამდენიმე ათეული „მოსიარულე სახლია". სახლები გადაცურდებიან მდინარეზე, გორაკიდან დაბლობში დაეშვებიან, ერთმანეთს დაუახლოვდებიან ახ პირიქით დაშორდებიან.

ქალაქ ჩიკაგოში ერთი ქუჩის ახალი გეგმა შეადგინეს. იმ ქუჩაზე იყო „ქალალდის პარკების კომპანიის" ხუთსართულიანი სახლი. სახლის პატრონებმა ეს სახლი ჯერ წინ წასწიეს 33 მეტრზე, შემდეგ კი გვერდზე გააჩოჩეს 66 მეტრზე. ერთი სიტყვით, მოგზაურობს ეს სახლი.

ქალაქ ინდიანაპოლისში სატელეფონო სადგურის შენობა წინ წასწიეს $16^1/_2$ მეტრზე, შემდეგ კი მოატრიალეს და სულ სხვა ქუჩისკენ მიაბრუნეს მისი ფასადი.

ერთმა ამერიკელმა მილიონერმა მოინდომა თავისი ვილის (აგარაკის) გაფართოება, მაგრამ სახლის ფასადის შეცვლა არ სურდა. ინჟენრებმა ხაჭაპურივით გაჭრეს ეს სახლი შუაზე, ერთი ნახევარი მარცხნივ წასწიეს, მეორე ნახევარი მარჯვნივ, შუაში ააშენეს ახალი ოთახები და ამრიგად გაადიდეს სახლი.

ქალაქ პიტსბურგში ერთმა სახლმა ძალიან დიდი გზა გაიარა. ის ასწიეს, მოაბრუნეს, წასწიეს, დაბლობში ჩაუშვეს და ბოლოს, როგორც იყო, დადგეს ახალ საძირკველზე.

ერთი რვასართულიანი სახლი კი თავისი სარდაფებიანა „გადასახლდა" ახალ ადგილას.

უცნაურია, არა?

შარშან ნახე, რომ აგერ ამ ქუჩაზე იყო სახლი, რამდენიმე თვის შემდეგ კი იმავე სახლს ხედავ სულ სხვა ქუჩაზე.

ბინა გამოუცვლია, რას იზამ, ამ მოგზაურობის დროს სახლი, ალბათ, დაცლილი იყო, თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ ამაში?

არა, ტყუილად არ იფიქროთ. სახლი რომ სხვა ქუჩაზე გადაქონდათ, იმ სახლში ცხოვრება დუღდა; ექიმები ავად მყოფებს სინჯავდენ, ქალები მანქანაზე ბეჭდავდენ, ტელეფონით ლაპარაკობდენ...

არა, მართლაც ძალიან უცნაურია! ვთქვათ, წერილი გამოგიგზავნესთ. მოიტანა ფოსტალიონმა და...

სად არის სახლი! სახლი სხვაგან წასულა! ახლა საბჭოთა ინჟენერებიც სწავლობენ, თუ როგორ გადააქვთ ამერიკელებს სახლები ერთი ადგილიდან მეორეზე.

სახლების გადატანა ძალიან დაგვეხმარება ძველი ქალაქების სახის შეცვლაში. მით შევძლებთ ქუჩების გასწორებას, გაფართოებას. საბჭოთა კავშირშიაც მალე გაჩნდება მოგზაური სახლები—მოსკოვში, ლენინგრადში, ტფილისში და სხვა ქალაქებში. ტფილისში უკვე განზრახულია ერთი სახლის გადატანა.

ხომ ხედავთ, სახლებმაც აიდგეს ფეხი! აი რა შეუძლია ცოდნას!

ზ. თ.

გამოცანა

ჩვენი ქვეყნის ფრინველია,
ტანად ჩია და პატარა,
არის მეტად უგუნური,
კუდაბზიკა, მეტიჩარა.

როცა მაღლით ცა იქუხებს
ის გულალმა მყისვე წვება.
და ცა რომ არ ჩამოიქცეს,
ვითომ ფეხით ეშველება...

ალ. საჩინოელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლგაზე ყოფილ ხართ!

გინახავთ იქაური გემები?

თუ არ ყოფილხართ, მე გიამბობთ:

იქ, სადაც ბევრი ბამბა ითესება, აშენებენ ბამბის გადასაზიდ დიდ გემებს იმ ანგარიშით, რომ რაც შეიძლება მცირე წილი იქნეს წყალში და მეტი ბარგი გადაიტანოს. ამისთანა გემებს ძალიან განიერი და ბრტყელი ძირი აქვთ. მოტორი უკან აქვთ გაკეთებული და წამყვანი ბორბალიც უკან არის.

თქვენ, ალბათ, გინახავთ წისქვილი მტკვარზე, რომელსაც დიდი ბორბალი ამუშავებს. აი სწორედ ამისთანა ბორბალი აქვთ იმ გემებს. ეს იმ მიზნით კეთდება, რომ უკანა ბორბალს ძალიან ცოტა წყალი სჭირდება, ღონე კი დიდი აქვს. ამნაირ გემებში სამი მეოთხედი ბარგის თვის არის თავისუფალი.

ასეთი გემი იყო „ფლორიდა", მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გემბანზე აეშენებიათ მგზავრების კაიუტები[1]). „ფლორიდა" სამსართულიანი გემი იყო, დაბლა ბარგი იყო მოთავსებული, შუაზე მგზავრები, ზევით, მესამე სართულზე სადიმონე[2]).

მოტორიდან ბორბლამდის გაბმულია ორი გრძელი ბოძი, რომელსაც ბარბაცას ეძახიან. აი სწორედ ეს ბარბაცა ამოძრავებს ბორბალს.

ივნისი იდგა.

ზაფხულის სიმშვენიერე ამკობს მდინარე ვოლგის ნაპირებს. ამ დროს ვოლგაზე დიდი მოძრაობა იყო ხოლმე, რადგან ნიჟნი-ნოვგოროდში (ახლანდელი გორკი) 15 ივნისიდან ორთვიური დიდი ბაზრობა იმართებოდა.

ჩვენ ქ. რიბინსკიდან მოვდიოდით და სხვა მოგზაურებთან ერთად მოგვყავდა ნიჟნი-ნოვგოროდისკენ დიდი ცირკი. გემბანზე იდგა ცხენები, ძაღლები და სხვა გაწვრთნილი ცხოველები.

გემი მივიდა ნიჟნი-ნოვგოროდში (გორკი), მხოლოდ მობრუნება და ნაპირზე მიდგომა იყო საჭირო, მაგრამ ეს ძნელი მოსახერხებელი იყო, რადგან ნაპირზე ბევრი გემი იდგა. ამნაირ მომენტში ავარიაა მოსალოდნელი.

— საჭე მარცხნივ, გააფართოვე გზა მოსაბრუნებლად, — დავუძახე.

— არის! — იყო პასუხი.

— მარჯვნივ!

— არის..

— მარცხნივ, სადგურის პირდაპირ გაჩერეთ!

— გააჩერეთ მანქანა.

ყური რუპორთან, — შემომესმა უცებ.

— არ შეიძლება გაჩერება, ბარბაცაზე დათვი ზის.

— რა დროს ხუმრობაა, გააჩერეთ მოტორი, გემებს დავამტვრევთ, — ჩავყვირე გაბრაზებით.

— ჩვენ არ ვხუმრობთ, — ისმის ქვევიდან მემანქანის შეშინებული ხმა.

— მთლად მარჯვნივ, — შევყვირე ისევ.

— არის მარჯვნივ! — მიპასუხა ბოცმანმა შესრულებისთანავე. გემმა მარჯვნივ გაიწია და ერთი მეტრის მანძილზე გაუარა იქვე მდგომ გემებს.

მერე ქვევით ჩავედი. დავეშვი მანქანისკენ. როცა მოტორთან მივედი, ბარბა-

[1]) კაიუტა, — გემზე აშენებულ ოთახებს ეძახიან.
[2]) სადიმონე, — საჭის ბორბლის ოთახი.

ცაზე დათვი იყო შემოსკუპებული, რომელიც არხეინად ქანაობდა აქეთ-იქით.

მოვნახეთ ცირკის მოსამსახურე და დიდის წვალებით გავაბრძანეთ ბარბაცადან დათვი.

სადგურში რომ გავჩერდით, მემანქანემ მიამბო:

— ჩვენ ნელი სვლით მივდიოდით, ველოდით თქვენს განკარგულებას; ამ დროს დათვი შემოვიდა. ჩვენ არ შეგვშინებია, საჭმელიც ვაჭამეთ. მერე გაიარ-გამოიარა, მივიდა ბარბაცასთან, ჯერ თათები დაადო, მერე უცებ შეხტა და ქანაობა დაიწყო. ეს ქანაობა იმდენად მოეწონა, რომ მანქანის გაჩერებას ალარ გვანებებდა.

ამ ამბის შემდეგ ხუმრობით ვეძახოდით ხოლმე ჩვენს მემანქანეს:

„ბარბაცაზე დათვი".

პაპა ლადო

ძველი ქვეყნის შვიდი საკვირველება

ძველი ქვეყნები — საბერძნეთი, ეგვიპტე, ბაბილონი — განთქმული იყვნენ თავიანთი დიდი და შესანიშნავი შენობებითა და მხატვრული ხეროთმოძღვრებით. ძველი ქვეყნების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურიდან განსაკუთრებით შვიდი რამ აცვიფრებდა ადამიანს: ხეოპსეს პირამიდა სემირამიდის ბაღები, არტემიდას ტაძარი ეფესში, მავზოლეს სასაფლაო, ზევსის ქანდაკება, როდასის კოლოსი და ფაროსის შუქურა. ამათ ძველად შვიდ საკვირველებას ეძახდენ.

ჩვენი მკითხველები უნდა იცნობდენ მათ, რადგან ისინი ხშირად გვხვდება სხვადასხვა წიგნში.

ხეოპსეს პირამიდა

ხეოპსეს პირამიდა ყველაზე ძველი საკვირველებაა მსოფლიოში. ეს პირამიდა აშენებულია 4500 წლის წინათ. მას 145 მეტრის სიმაღლე აქვს. ეგვიპტის ფარაონებს ჩვეულებად ჰქონდათ წინასწარ თავიანთი სამარხი ადგილის ამორჩევა და პირამიდების აშენება. ხეოპსემ რომ სამარხი ადგილი ამოირ-



ჩია, იმ ადგილამდის მონები 10 წლის განმავლობაში იკაფავდნენ გზას. მეორე ათი წელიწადი საძირკვლის ჩაყრას მოანდომეს. რამდენიმე ათეული ათასი მონა კლდეებს ამტვრევდა პირამიდისათვის და ქვას ნილოსით ეზიდებოდნენ ნავებზე პირამიდის გასაშენებელი ადგილისკენ. 20 წლის განმავლობაში ასიათასი მონა მუშაობდა პირამიდის აგებაზე. პირამიდის კედლებზე აწერია, თუ რამდენი ბოლოკი, ხახვი და ნიორი შეჭამეს მუშებმა პირამიდის აგების განმავლობაში. ეგვიპტის ბატონისათვის აგებულ პირამიდაზე რამდენი მონა დაიხოცა, ეს, რასაკვირველია, არსად წერია.

სემირამიდის ბაღები

ბაბილონი უდიდესი სახელმწიფო იყო ძველად. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქსაც ბაბილონი ერქვა. ეს იყო უზარმაზარი ქალაქი. ამ ქალაქში მარტო ძუძუმწოვარა ბავშვთა რიცხვი 120.000 უდრიდა. ქალაქი გარშემორტყმული იყო ფართო და მაღალი გალავანით. ამ გალავანზე ექვსი ეტლი გაივლიდა ერთად დარაზმული. გალავნის შემოვლას კი 14 საათი სჭირდებოდა. გალავანს 25 სპილენძის კარი ჰქონდა. ამ ქალაქში განცვიფრებას იწვევდა ჩამოკიდებული ბაღები. ეს ბაღები, ხალხის თქმულებით, დედოფალმა **სემირამიდამ** გააშენა. ყველას უკვირდა ეს სასწაული — არსად, არცერთ ქვეყანაში არ იყო ასეთი ბაღები. სემირამიდის ბაღები მთებივით ივო ზევით აყვანილი. ბაღის კედლები ტერასებზე იყო დამაგრებული, ტერასები კი მიწით იყო ამოყვანილი. ტერასებზე ყვაოდა ყვავილები, ბუჩქები, ხეები.

ამჟამად ბაბილონისაგან მხოლოდ ნანგრევები დარჩა.

არტემიდას ტაძარი

არტემიდა იყო (ძველი ბერძნების აზრით) მთვარისა და მონადირეობის ქალღმერთი. არტემიდას ქალაქ ეფესში ბერძნებმა მარმარილოს უზარმაზარი ტაძარი აუგეს. ამ ტაძარს 120 წელიწადი აშენებდენ. ის ესოდენ დიდი იყო, რომ მას მსოფლიოს მესამე საკვირველება უწოდეს. ტაძრის სიგრძე 127 მეტრი იყო. ტაძარს შემოვლებული ჰქონდა მარმარილოს სვეტები, რომელთა სიმაღლე 18 მეტრს

ეროვნული ბიბლიოთეკა



სემირაბიდის ბაღები

ულრიდა. სამიათას ორას ოთხმოცდაათი წლის წინათ ერთმა სულელმა ბერძენმა **ჰეროსტატემ** დაწვა ეს დიდებული შენობა. ჰეროსტატეს ამით სახელის ოხვეჭა უნდოდა.

მავზოლეს სასაფლაო

ორიათას ორას ოთხმოცდაექვსი წლის წინათ მოიდა კარიის მეფე მავზოლე. მისმა ცოლმა არტემიზიამ გადაწყვიტა აეგო მისთვის ძეგლი და მოიწვია სახელგანთქმული ხუროომოძღვრები **ფიდიუსი** და **კოპასი**. ისეთი დიდებული სასაფლაო ააგეს, რომ მისი ბადალი არ იყო და მსოფლიო საკვირველება უწოდეს. მას შემდეგ ასეთი სახის სასაფლაოს **მავზოლეს** ეძახიან.

მავზოლე გრანიტის საძირკველზე იდგა. მისი მარმარილოს სახურავი 36 სვეტზე იყო დაყრდნობილი.

ზევესის ქანდაკება

ცნობილმა ბერძენმა **ფიდიუსმა** სპილოს ძვლისა და ოქროსაგან შექმნა ბერძენთა მთავარი ღმერთის ზევესის ქანდაკება. ზევესი ზის ტახტზე, მარცხენა ხელში კვერთხი უჭირავს, - მარჯვენაში გამარჯვების ფრთიანი ქალღმერთი. თავისი სიდიდითა და სილამაზით ამ ქანდაკებას მსოფლიო საკვირველებად თვლიდენ. რომ წარმოდგენა იქონიოთ ამ ქანდაკების სიდიდეზე, შეადარეთ მას მის კვარცხლბეკთან მდგომი ადამიანის ფიგურა. ქანდაკება ათას წელიწადს იდგა და, ბოლოს, ხანძარმა დაღუპა.

ზევესის ქანდაკება



არტემიდას ტაძარი

როდოსის კოლოსი

მსოფლიოს ამ საკვირველების შესახებ, სამწუხაროდ, თითქმის არა ვიცით რა. ლეგენდებში ამბობენ, რომ ეს ქანდაკება იყო და ერთი ფეხით კუნძულ როდოსზე იდგა, მეორეთი კი მატერიკზეო. ქანდაკების ლაჯებში გემები გადიოდნენ. ზოგთა გადმოცემით, ეს ქანდაკება როდოსზე იდგა და 32 მეტრის სიმაღლე იყოო. 2200 წლის წინათ იგი მიწისძვრამ დაანგრია. ერთი უდავოა: ეს ქანდაკება მართლაც რომ უშველებელი რამ უნდა ყოფილიყო, რადგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფაროსის შუქურა

მისი სახელი კოლოსი დღესაც იხმარება რაიმე უზარმაზარის გამოსახატავად. ასე, მაგალითად, ჩვენ ვამბობთ „კოლოსალური.“ ეს სიტყვა კოლოსიდან წარმოდგა.

ფაროსის შუქურა

უკუნეთ ღამით ხმელთაშუა ზღვაზე გაჩნდებოდა სინათლე. ჩაქრებოდა, კვლავ გამოჩნდებოდა. გემები უშიშრად გაშლიდნენ იალქნებს და უშიშრად გაემართებოდნენ ქალაქ ალექსანდრიის ნავსადგურისაკენ.

ეს სინათლე ფაროსის შუქურიდან ანათებდა. ფაროსის შუქურა იგვიპტელებმა ააშენეს, ეს პირველი შუქურა იყო მსოფლიოში და სასწაულად ითვლებოდა. შუქურა დანათოდა ხმელთაშუა ზღვას მთელი ათასი წლის განმავლობაში. ხშირმა მიწისძვრებმა გააფუჭა იგი. 1317 წლის მიწისძვრამ იგი სამუდამოდ დაანგრია.



მავზოლეს სასაფლაო

როდოსის კოლოსი

?ᲫᲒ ᲫᲘᲠᲘᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲔᲣᲜᲔ ᲔᲑᲘᲢᲐᲜᲘᲨᲘ)

შემდეგ ნომერში ჩვენ მივცემთ ცნობას თანადროვე შვიდი საკვირველების შესახებ.

ფასი 75 კაპ.

5 · 2.5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცანით, რა არის ეს?

(განმარტება შემდეგ ნომერში)